# საქართველო

№ 32 (59) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 8 აგვისტო, 1943 წ.

# მოსკოვის გეგმები

ლონდონის პოლიტიკურ წრეებში უკანასკნელი დღეების განმავლობაში იგრძნობა განსაკუთრებული ნერვიულობა ბოლშევიკთა ჰეგემონიის გეგმებთან დაკავშირებით ევროპის კონტინენტზე. კერძოდ, დიდი გაცხოველება გამოიწვია „იზვესტიის“ წერილმა, რომელიც მოსკოვის რადიომ თარგმნა ინგლისურ ენაზე. მასში ბოლშევიკები გამოსთქვამენ აზრს ინგლისის კონსერვატიული წრეების პროექტის — აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ბრიტანეთის გავლენის სფეროს შექმნის წინააღმდეგ.

მოსკოვის რადიო განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოდის ინგლისელთა ამ „ინტერვენციის“ ცდის წინააღმდეგ. მოსკოვი აცხადებს, რომ იგი ეწინააღმდეგება ინგლის-საბჭოთა შეთანხმების არსს. არაორაზროვანი ფორმით, სტალინის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მოსკოვი ვერ მოითმენს ინგლისელთა ჩარევას აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში.

ინგლისის კონსერვატიული წრეები შეწუხებული არიან საბჭოთა ჰეგემონიის ამ პროექტებით. ეყრდნობიან რა ბოლშევიკთა ამ გამოსვლას, ისინი ეჭვს გამოსთქვამენ, რომ ბრიტანეთის მთავრობამ — ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ— დაუსახეს საბჭოებს რაღაც ვალდებულებანი, რამაც ნება მისცა ბოლშევიკებს ილაპარაკონ ასე მკვეთრად და გარკვეულად. როგორც ჩანს, მოსკოვში დარწმუნებული არიან, რომ ბრიტანეთის მთავრობას ხელები იმდენად აქვს შებოჭილი, რომ იგი ხმაამოუღებლივ დაემორჩილება ყველა საბჭოთა მოთხოვნას ევროპის ჰეგემონიის თაობაზე.

არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ სტალინური დიპლომატია მიისწრაფის რაც შეიძლება ნაკლებად მიჰმართოს ინგლის-საბჭოების კავშირით გათვალისწინებულ, ძირითად მიმდინარე პოლიტიკის საკითხების ერთად განხილვას.

სტალინური მთავრობა უპირატესობას აძლევს გაატაროს საკუთარი პოლიტიკური ხაზი ევროპის მიმართ. ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“, აღნიშნავს რა ამ მდგომარეობას, უმატებს თავისაგან, რომ დასავლეთის სახელმწიფოებიც — ესე იგი დიდი ბრიტანეთიც — ზუსტად არ იცავენ დადებულ ხელშეკრულებებს და თავის მხრით კმაყოფილდებიან იმით, რომ მხოლოდ ატყობინებენ საბჭოთა მთავრობას მათ ინტერესთა სფეროში მიღებულთ ზომების შესახებ.

ნეიტრალური წრეებიდან დღესდღეობით ანალოგიური ხმები ისმის. ერთერთ კორესპონდენციაში ნიუ-იორკიდან, რომელიც შვედურ გაზეთ „სტოკჰოლმ ტიდნინგენში“ არის მოთავსებული, ნათქვამია, რომ ვაშინგტონში მიღებულია მოხსენება ამერიკელი ელჩისა მოსკოვში, რომელშიც მითითებულია, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს თავისი მოკავშირეებისაგან დამოუკიდებლად მიიღოს ზოგიერთი ზომა, რასაც კავშირი ექნება ომის შემდეგდროინდელ მდგომარეობასთან, თუ მთელ ევროპაში არა, აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში მაინც.

ვაშინგტონში უკანასკნელი კვირების განმავლობაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სტალინური დიპლომატია ამზადებს „სტალინის პოლიტიკასთან შეთანხმებულ და მოსკოვის ხელმძღვანელობით ევროპის მოწყობის“ პროექტებს.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობის სამხედრო მიზნები ევროპაში (რომელთა შესახებ, სხვათაშორის, შეიძლებოდა წინათაც გვეფიქრა), ეხლა ნათელი შეიქნა ამერიკელებისათვისაც, რომლებიც, ინგლისელებთან ერთად, დიდი ხანია უკვე მხარს უჭერენ სტალინურ მისწრაფებათა ამგვარ განვითარებას.

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ ინგლის-ამერიკელთა ყველა დამამშვიდებელი რწმუნება ევროპის მცირე ერების მიმართ საპნის ბუშტივით ჰქრება, ვინაიდან მათი გამარჯვების შემთხვევაში, ევროპაში თავიანთ ნებასურვილს უკარნახებდნენ არა კუნძულელები ან, მით უფრო ოკეანისმიღმელი პოლიტიკოსები, არამედ სტალინური მთავრობა, რომელიც მიისწრაფის მიაღწიოს მონოპოლიას აღმოსავლეთ და შემდეგ მთელს ევროპაზე. ამერიკულ წრეებში აღნიშნავენ აგრეთვე, რომ მოსკოვს ნაკლებად აინტერესებს გერმანიის გაყოფის ინგლის-ამერიკელთა გეგმები, ვინაიდან ბოლშევიკები ოცნებობენ მის მთლიანად მოქცევაზე თავიანთი გავლენის სფეროში.

ყოველ შემთხვევაში, ბრიტანელები ეხლა უკვე გრძნობენ ბოლშევიზმის აჩრდილის მოახლოებას და ეშინიათ იმისა, რომ ის ინგლისის კარებსაც მიაკაკუნებს. თავის მხრივ, ამერიკელებიც იწყებენ იმ ძალის საშიშროების შეგნებას, რომელიც ფლობს რა სივრცეს ვლადივოსტოკიდან ატლანტიის ოკეანემდე, შეიძლება საფრთხედ გადაიქცეს ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც. დიდხანს ამ ორსავე ქვეყანას არ სურდა დაეჯერებინა ყველა მოსაზრებანი ბოლშევიზმის საფრთხისა და განსაკუთრებით მასთან მეგობრობის დამღუპველობის შესახებ. ეხლა მათ უხდებათ საკუთარ გამოცდილებაზე დარწმუნდნენ იმაში, თუ რა ორპირ თამაშს აწარმოებს სტალინური დიპლომატია. ძნელი საფიქრებელია, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამხედრო მიზანს წარმოადგენს ევროპის ნახევარის გადაცემა მოსკოვის ხელში. მაგრამ ყველაფერმა, რასაც ისინი აქამდის აკეთებდნენ, მთელმა მათმა პოლიტიკამ დღევანდელი ომის განმავლობაში, უდაოდ მიიყვანეს ისინი ასეთ შედეგამდის. ესწრაფოდნენ რა მიეღწიათ საბჭოებთან მეგობრობისათვის, ისინი ზედიზედ უთმობდნენ სტალინური მთავრობის მოთხოვნებს და, ამის შედეგად, აღმოჩნდნენ რეალური საფრთხის წინაშე, რასაც დღეს ისინი უკვე ნათლად გრძნობენ.

მზად არიან თუ არა ბრიტანელები შეურიგდნენ ბოლშევიკურ მსოფლიო რესპუბლიკას დედაქალაქით მოსკოვში, რომელიც მოიცავს მთელ აღმოსავლეთ ევროპას, მაშინ, როდესაც მეორე კაპიტალისტური რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქი ვაშინგტონში იქნება, იბატონებს მთელ დანარჩენ მსოფლიოზე, დასავლეთი ევროპისა და, ცხადია, ინგლისის ჩართვით?

ევროპელებისათვის შექმნილი მდგომარეობა სავსებით გასაგებია, და ამიტომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას დამონების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომელიც ორი მხრიდან მომდინარეობს — კომუნისტური მოსკოვიდან და კაპიტალისტური ვაშინგტონიდან.

## გროს-ადმირალი დენიტცის სიტყვა

ბალტიის ზღვის წყლებში ჩატარდა საზღვაო მანევრები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანელი ახალგაზრდობის ორგანიზაციის („ჰიტლერ-იუგენდ“) საზღვაო განყოფილების საუკეთესო ნაწილებმა. ამ მანევრებს დაესწრნენ გროს-ადმირალი დენიტცი და გერმანიული ახალგაზრდობის ხელმძღვანელი აქსმანი, რომლებმაც წარმოსთქვეს სიტყვები.

ახალგაზრდობის საიმპერიო მინისტრმა აქსმანმა ომს უწოდა მოვალეობის შესრულების ყვიოაზე სასტიკი მსაჯული. გერმანელი ახალგაზრდობა ყველგან ასრულებს სამხედრო ამოცანებს, დაწყებული ბომბარდირების დროს დახმარებითა და გათავებული მოსავლის აღების სამუშაოებში მონაწილეობით. ომში გადამწყვეტია მორალური ელემენტი.

გროს-ადმირალმა დენიტცმა გამოხატა თავისი სიხარული ახალგაზრდობის მიღწევების გამო. დღევანდელი ახალგაზრდობის თაობა, სთქვა დენიტცმა, სცხოვრობს იმ დროში, როდესაც გერმანია მტრებით არის გარშემორტყმული. მაგრამ მტრის ყველა ძალადობა თავს გაიტეხს გერმანელი ხალხის სიმტკიცესა და ურყეობაზე. გროს-ადმირალმა დენიტცმა აღნიშნა, რომ ბედნიერება ადამიანს აძლევს მის მიერ შესრულებული მოვალეობის შეგნებას. მე მჯერა, დაასრულა დენიტცმა, რომ გერმანელი ახალგაზრდობა ბოლომდის შეასრულებს თავის მოვალეობას.



საცეცხლო წერტილი ყუბანის ხიდისთავთან.

# იტალიაში

### ახალი მთავრობის ფიცი

ახალი მთავრობის წევრებმა 28 ივლისს მეფის ვიქტორ ემანუილ მესამის წინაშე მიიღეს ფიცი. მეფე გულმხურვალედ მიესალმა მინისტრებს, რომლებიც ფიცის შემდეგ მყისვე შეუდგნენ მოვალეობის ასრულებას.

### მინისტრთა საბჭოს სხდომა

მინისტრ-პრეზიდენტის მარშალი ბადოლიოს თავმჯდომარეობით რომში ჩატარდა მინისტრთა ახალი საბჭოს სხდომა. სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უცვლელი დარჩეს იტალიის საგარეო პოლიტიკა. გარდა ამისა, ქვეყნის საშინაო მმართველობა გაგრძელდება იმ საფუძვლებზე, რომლებიც დღემდის იყო შექმნილი.

### ჩერჩილი იტალიის შესახებ

ჩერჩილი განცხადებით გამოვიდა ქვედა პალატაში, რომელიც ჩვეულებისამებრ აღსავსე იყო ლანძღვით იტალიელი ხალხისადმი. იტალიის წინააღმდეგ ომი, სთქვა მან, წინანდებურად მთელი საშუალებებით უნდა იქნას წარმოებული. „ჩვენ უნდა ვაიძულოთ იტალიელები მოიხარშონ თავიანთ წვენში, —განაცხადა ჩერჩილმა, —სანამ მთავრობა ან და სხვა ვინმე, რომელიც სარგებლობს ავტორიტეტით, არ გააკეთებს საჭირო განცხადებას“. ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს „განცხადება“ არის სრული კაპიტულაცია..

### ამერიკის რეაქცია

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ იტალიის მთავრობის შეცვლა ამერიკის წრეებისათვის იყო მოულოდნელი. მთავრობის დაწესებულებებმა პირველად უარი სთქვეს მიეცათ ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია. სამხედრო საინფორმაციო ბიურომ განაცხადა —მუსოლინის გადადგომა ნიშნავს ერთი ფაშისტური რეჟიმის მეორით შეცვლას. თუ იტალიას სურს მშვიდობიანობა, მან უნდა მოახდინოს კაპიტულირება ყოველგვარი პირობების გარეშე.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ თავიანთ მეთაურ წერილებს ასათაურებენ შემდეგნაირად —„რა იქნება ეხლა?“. ამერიკული პრესა ერთხმად გამოჰხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას მარშალი ბადოლიოსადმი.

სახელმწიფო სეკრეტარმა ჰელმა პრესის მორიგ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იტალიისადმი დარჩება უცვლელი მანამდე, სანამ იტალია უყოყმანოდ არ მოახდენს კაპიტულირებას.

### „ომი გრძელდება“

იტალიის რადიო იხილავს რა საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოხდა 25 ივლისს იტალიაში, აკეთებს შემდეგ დასკვნებს: ეს არ არის რევოლუცია, ან კატასტროფა, რომელსაც ასე ელოდებიან იტალიის მტრები. მთავრობის შეცვლა ჩატარდა იტალიის ხალხის ტრადიციული სულის საფუძველზე, რომელიც მძიმე წუთებში ყოველთვის ამჭიდროებს და შემოკრებს თავის რიგებს მეფის გარშემო.

იტალიის რადიოს დიქტორმა ამასთანავე ერთად ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი იტალიელი ხალხი მონაწილეობს ომში, ჯარისკაცები ფრონტებზე, მეზღვაურები სანაპირო დაცვაში, ავიაცია ჰაერში. იტალიის ყველა მოქალაქე თავისი შრომით მონაწილეობას იღებს ომში. ხალხმა გამოსცადა მძიმე ბომბარდირებანი, ისინი გაიღებენ საკუთარ ფულს, ხარჯავენ დროს ომისათვის. იტალიელმა ხალხმა თავისი რიგები შეამჭიდროვა მეფის გარშემო და მზადაა გაიმეოროს ბადოლიოს სიტყვები — „ომი გრძელდება“.

მთავრობის წრეებში მიუთითებენ, რომ ჩერჩილის თავდასხმა იტალიის ხალხისათვის არ იყო მოულოდნელი, მთავრობის შეცვლა გამოწვეულია მხოლოდ ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობით. ჩერჩილის განცხადებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ მტრის კოალიციის მიზანია იტალიის განადგურება.

„იტალიამ იცის, რომ ის აწარმოებს ბრძოლას დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ. იგი ბოლომდე დაიცავს თავის სინდისსა და თავისუფლებას“.

### სენატის ახალი თავმჯდომარე

სენატის ყოფილი თავმჯდომარე გრაფი სუარდო გადადგა. მთავრობის მეთაურის მარშალი ბადოლიოს წარდგენით, მეფემ სენატის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნა ადმირალი ტაონ დი რეველი.

სენატის ახალი თავმჯდომარე დაიბადა 1859 წელს. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი იყო საზღვაო შტაბის უფროსი. 1922 წლიდან 1925 წლამდე ტაონ დი რეველი ასრულებდა საზღვაო მინისტრის მოვალეობას.

### ჩვენი გაზეთის მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის მკითხველთა იმ ნაწილმა, რომელიც გაზეთს საველე ფოსტით არ ღებულობს, თუ სურს სისტემატურად მიიღოს გაზეთი, ყოველთვიურად უნდა გამოგზავნოს ერთი მარკა, ან ერთი მარკის ღირებული საფოსტო მარკები გადასაგზავნი ხარჯების ასანაზღაურებლად, შემდეგი მისამართით: Berlin W 8, Behren-Strasse 65-III. ყველას, ვისაც სურს მიიღოს ჩვენი გაზეთი, შეუძლია გვაცნობოს იმავე მისამართით თავისი საცხოვრებელი ადგილი და მასთან ერთად გამოგზავნოს ყოველთვიურად თითო მარკა.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანიის წყალქვეშა ნავი ატლანტიის ოკეანეში.

# ბირმის დამოუკიდებლობა

იაპონიის ელჩმა ბირმაში სავადამ და დოქტორმა ბა მავმა მოაწერეს ხელი შეთანხმებაზე იაპონიასა და ბირმას შორის საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.

ამასთანავე ერთად იაპონიის ელჩმა დომეის სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ ორივე სახელმწიფო თანაბრად აწარმოებს ბრძოლას საერთო აღმოსავლეთი აზიის სასიცოცხლო სივრცისათვის.

„დღევანდელ დღეს, განაცხადა სავადამ, როცა ბირმამ თავი დააღწია 50 წლის მონობას, მე სიხარულითა და სინდისის გრძნობით ვაწერ ხელს ხელშეკრულებას, რომელიც თავისი მნიშვნელობით ერთადერთია აღმოსავლეთი აზიის ისტორიაში. იაპონია ახლადდაარსებულ ბირმის ახალგაზრდა სახელმწიფოს გაუწევს ყოველ მხრივ სრულ დახმარებას.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტოიომ განაცხადა, რომ დიდი ხნის მონობის შემდეგ ბირმელების მხურვალე ოცნება ასრულდა. ტოიომ აღნიშნა, რომ ბირმელებმა თავის მხრივ გააკეთეს ყველაფერი თავიანთი მიზნების მისაღწევად, იაპონიის ჯარებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევითა და მათთან თანამშრომლობით.

□

როგორც რანგუნიდან იტყობინებიან, ბირმის ნაციონალური დროშა სამფეროვანია — წითელი — ყვითელი — მწვანე. დროშის შუაში გამოსახულია ფარშევანგი და მზის წრე. ფერების სიმბოლური მნიშვნელობა გამოიხატება შემდეგში: წითელი ნიშნავს სიმამაცეს, ყვითელი — ბუდიზმს, ხოლო მწვანე — მიწათმოქმედებას, რომელიც ბირმელთა მთავარ საქმიანობას წარმოადგენს.

# მაისკის ახალი დანიშვნისათვის

ლონდონში საბჭოთა ყოფილი ელჩის, ურია მაისკის დანიშვნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტზე სვამს კითხვას იმ როლის შესახებ, რასაც შეასრულებს ეხლა ახალი კომისარი. შვეიცარიული გაზეთების ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობით, მაისკიმ ეხლა ხელი უნდა შეუწყოს ნიადაგის მომზადებას ბალკანეთის ქვეყნების ბოლშევიზაციისათვის.

შვეიცარიული გაზეთების ეს ცნობები ემთხვევიან იმ ფაქტს, რომ სტალინი თავის დროზე მოითხოვდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან „მიეცათ“ მისთვის ბალკანეთის ნახევარკუნძული. რამდენიმე კვირის წინათ საბჭოთა კავშირმა კვლავ ხაზგასმით გაიმეორა თავისი ეს დაჟინება. სტალინმა გამოსთქვა სურვილი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ვასალური სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელსაც გასასვლელები ექნებოდა როგორც ეგეოსის, ისე ადრიატიკის ზღვაში.

მოსკოვიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ელჩად ლონდონში, მაისკის ნაცვლად, დანიშნულია თედორე გუსევი, რომელიც აქამდე იყო სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კანადაში.

# ჰინდენბურგის ხსოვნას

2 აგვისტოს, იმპერიის პრეზიდენტისა და გენერალ-ფელდმარშალის ფონ ჰინდენბურგის გარდაცვალების ცხრა წლისთავზე, პირველი საარმიო კორპუსის გენერალმა და პირველი სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა, არტილერიის გენერალმა ვოდრიგმა, ადოლფ ჰიტლერის სახელით გვირგვინი დაადო ფელდმარშალის სარკოფაგს ტანენბერგში. ამასთან დაკავშირებით ფონ ჰინდენბურგის ძეგლთან დაყენებულ იქნა ოფიცერთა საპატიო ყარაული.

<>

# იაპონიის პოლიტიკა

გერმანიის ელჩთან, ფონ შტამერომთან საუბრის შემდეგ, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიგემიცუმ აცნობა იაპონიის კაბინეტს იტალიაში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე, მთავრობის შეცვლასთან დაკავშირებით. შიგემიცუმ ამასთანავე ერთად აცნობა კაბინეტს, რომ იაპონიის პოლიტიკა არავითარ დამოკიდებულებაში არ არის იტალიაში შექმნილ ამბებთან. რთული საერთაშორისო ვითარება არავითარ შემთხვევაში არ შესცვლის იაპონიის გადაწყვეტილებას განაგრძოს ომი მთელი თავისი შეურყევლობით.

<>

# შვეიცარია ბოლშევიზმის შესახებ

შვეიცარიის გაზეთი „გაზეტ დე ლოზანი“ ხელმეორედ სვამს კითხვას ინგლის-ამერიკელების ჰიპოთეტური გამარჯვების პერსპექტივების შესახებ.

გაზეთის აზრით, იმედები ინგლის-ამერიკელების „ტოტალური გამარჯვების“ შესახებ ოცნებაა. გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს — იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვება წილად ხვდათ ღერძის სახელმწიფოთა მოწინააღმდეგეებს, ინგლის-ამერიკელებმა შესძლონ დაიცვან ევროპა ბოლშევიზაციისაგან. ამ შემთხვევაში, გაზეთის აზრით, სისხლიანი ბოლშევიკური რეჟიმი გავრცელდება მთელს ევროპაში.

<>

# ვაშინგტონი ამზადებდა რომის ბომბარდირებას

შვეიცარიულმა გაზეთმა „კურიერ დე ჟენევმა“ გამოაქვეყნა თავისი მადრიდელი კორესპონდენტის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ რომის ტერორისტული ბომბარდირება მზადდებოდა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ვაშინგტონსა და ლონდონში. ინგლისის ელჩმა ლონდონში ერთხელ კერძო საუბრის დროს განაცხადა, რომ რომის ბომბარდირების ინიციატივა რუზველტს ეკუთვნოდა, რომელიც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს ეგრეთწოდებულ „ნერვების ომს“ და უდიდეს იმედებს ამყარებს რომის მოსახლეობის მორალურ შერყევაზე.



მტრის მოლოდინში...

# მდგომარეობა ფრონტებზე

### კვირეული მიმოხილვა

გერმანიის თავდაცვა ბრძოლის უკანასკნელ დღეებში ისე, როგორც წინათ, კვლავ შეურყეველია. როგორც სამხრეთით, აგრეთვე ჩრდილოეთითაც გმირული თავდაცვითი ბრძოლების შედეგად უკუგდებული და განადგურებულია მტრის ყველა შემოტევა. ფრონტის აღმოსავლეთ უბანზე დიდი დაწოლის შედეგად, რომელიც ბოლშევიკებს ძვირად დაუჯდათ და იგემეს გამანადგურებელი მარცხი, დროებით ჩამოვარდა სიმშვიდე. უკანასკნელ დღეებში ამ უბანზე კვლავ აღინიშნა სამხედრო მოქმედებათა გაცხოველება.

ბოლშევიკებმა ლადოგის ტბასთან განავითარეს ახალი, ძლიერი შეტევები, რომლებიც გერმანელთა მიერ მყისვე იქნა უკუგდებული. წითელი არმიის შეტევები ატარებენ ეგრეთწოდებულ სპორადულ ხასიათს. ხანგრძლივი შეტევა მტერს არ უწარმოებია ორიოლის რაიონშიც კი, რომელიც ამჟამად, როგორც ვიცით, წარმოადგენს მთავარ ცენტრს მძაფრი ბრძოლებისას. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის უკანასკნელ ცნობაში აღნიშნულია, რომ მტრის შეტევითი უნარიანობა და შემტევი ძალა თანდათან შესუსტდა და ჰკარგავს აქტიობას.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ წითელი არმიის საზაფხულო შეტევამ მიაღწია დასასრულს, იგი პირველად ყოვლისა ცხადჰყოფს მეტად მნიშვნელოვან მოვლენას. ამ შეტევისას ბოლშევიკებმა ფრონტზე გადმოისროლეს მსხვილი ძალები. გერმანელთა მიერ განუწყვეტელი კონტრდარტყმებისა და ძლიერი თავდაცვითი ბრძოლების შედეგად მტერმა განიცადა კოლოსალური ზარალი, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურველის მხრივ, ამიტომ ბოლშევიკებს აღარ შესწევთ უნარი კვლავ აწარმოონ განუწყვეტელი შემოტევანი. მტრის ხელთ არსებული რეზერვები არასაკმაონი არიან. სწორეთ ამით აიხსნება ეხლა ბოლშევიკურ შეტევათა სპორადულობა.

მიუსის ფრონტზე, როგორც ეს ნაჩვენები იყო გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 2 აგვისტოს ცნობაში, გერმანიის ჯარი მსხვილი საავიაციო შენაერთების დახმარებით კუიბიშევის ჩრდილოეთით გადავიდა კონტრშეტევაზე, ალყა შემოარტყა წითელი არმიის ერთერთ დიდ ჯგუფს და გაანადგურა იგი.

საბჭოთა ჯარის დანაკარგი განუზომელია. იგი იზრდება ყოველდღიურად. 5 ივლისამდე ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 7.110 ტანკი. ეს ციფრი გარკვევით ლაპარაკობს ამ ზარალის სერიოზულობაზე.

კუნძულ სიცილიაზე გერმანიის თავდაცვა განაგრძობდა მძაფრ თავდაცვითს ბრძოლასა და არ აძლევდა მტრის მრავალრიცხოვან ძალებს წინსვლის საშუალებას. მას შემდეგ, რაც ინგლის-ამერიკელთა ცდა —სიცილიის ჩრდილოეთით ფლანგიდან შემოევლოთ გერმანია-იტალიის ჯარებისათვის და შემოერტყათ მათთვის ალყა, მარცხით დამთავრდა და კატანიის პოზიციებმა შეინარჩუნეს თავისი ურყევობა, მტერმა გადმოისროლა ახალი მსხვილი ძალები და შეეცადა გაერღვია ფრონტის ცენტრალური უბანი.

ინგლის-ამერიკელთა ეს იერიში მოგერიებულ იქნა გერმანელთა მიერ. მტერმა განიცადა დიდი ზარალი. გერმანიის ავიაციამ ამ ბრძოლაში კვლავ გამოამჟღავნა თავისი უძლეველობა.

მტერი შეეცადა აგრეთვე შეერყია გერმანელთა და იტალიელთა პოზიციები სიცილიის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მძიმე საზღვაო არტილერიის ცეცხლით. ამ ცდას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. კლდოვანი ადგილმდებარეობა გერმანია-იტალიის ჯარისათვის წარმოადგენდა საუკეთესო ბუნებრივ საფარს, რომელიც იფარავდა მტრის საზღვაო მსხვილი კალიბრის ქვემეხებიდან გასროლილი ყუმბარებისაგან. ამასთანვე ერთად ეს უბანი გამაგრებულია მეტად ძლიერად. აქ მრავლად არის რკინა-ბეტონის ბუნკერები. გერმანელებმა მტრის შეტევისთანავე გამოიყენეს თავიანთი ავიაცია, რომელმაც მალე აიძულა მტერი ჩაეჩუმებინა საარტილერიო სროლა გემებიდან. ავიაციის ძლიერი მოქმედების შედეგად ინგლის-ამერიკელთა გემები სწრაფად მოშორდნენ ნაპირს. რამოდენიმე [illegible]კაო ერთეული, მათ შორის ერთი საზღვაო გამანადგურებელი, დაზიანებულია ბომბების პირდაპირ მოხვედრათა შედეგად.

სიცილიაზე ბრძოლაში ივლისის განმავლობაში მტრის დანაკარგი გემების მხრივ ერთობ დიდია. ინგლის-ამერიკელებმა სადესანტო ოპერაციებისას დაჰკარგეს სამხედრო გემების დიდი რაოდენობა. სულ ჩაძირულია 94 სამხედრო ხომალდი, რომელთა საერთო წყალწყვა უდრის 550.214 ბრუტოტონას. გარდა ამისა, მწყობრიდან გამოყვანილია 53 გემი 246.750 ბრუტოტონის წყალწყვით. ამასთანავე ერთად მნიშვნელოვნად დაზიანებულია მტრის არანაკლებ 220 გემისა (780 ათასი ბრუტოტონა), რომელთაგან ზოგიერთი უკვე ჩაძირულია; ზოგი მათგანი ისეა დაზიანებული, რომ დიდხანს ვერ შესძლებს დაუბრუნდეს მწყობრს. ინგლის-ამერიკელებს სიცილიაზე სადესანტო ოპერაციები მეტად ძვირად დაუჯდათ. თუ ჩაძირული გემების რიცხვს დავუმატებთ იმ გემებს, რომლებიც განადგურებულნი იქნენ გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედებათა განახლების შემდეგ, მტრის საერთო დანაკარგი უდრის არანაკლებ მილიონნახევარ ბრუტოტონას. გარდა ამისა მტრის ფლოტმა დაჰკარგა 4 გამანადგურებელი, 10 სწრაფმავალი საკატარღო გემი, 1 წყალქვეშა ნავი და მრავალი წვრილი გემი. ნაღმებით დაზიანებულია 1 სახაზო ვემი, რამდენიმე კრეისერი, 9 გამანადგურებელი, არაფერს ვამბობთ შედარებით უფრო წვრილ საზღვაო ერთეულებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ლეგიონი. ფიზკულტურული ვარჯიში.

## შეამოწმე შენი სამხედრო ცოდნა

1. დავუშვათ, რომ დაზგის ტყვიამფრქვევის ტანი ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, რომელი საორთქლე ხვრელი იქნება ღია —წინა თუ უკანა?

2. დაზგის ტყვიამფრქვევის მომქცევი აშკი როდის უნდა იქნას მეტად დაჭიმული — სიცხეში თუ სიცივეში?

3. თუ დაზგის ტყვიამფრქვევის ქვედა მსხლეტის ბორცვი მოტეხილია ან მოცვეთილი, რა სახის შეფერხებასთან გვექნება საქმე სროლის დროს?

4. თუ დაზგის ტყვიამფრქვევის კლიტე მჭიდროდ არ იკეტება, ამის შედეგად მოხდება ვაზნის გადაჭრა. რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რომ ავიცილოთ ეს შეფერხება?

5. თუ დაზგის ტყვიამფრქვევის კორა არ მოძრაობს და გამოსულია ხმარებიდან, რა ხერხს უნდა მივმართოთ სროლის წარმოებისათვის მიზანში?

## პრინცი ლი გინი

პრინცი ლი გინის იაპონიის ავიაციის უფროსად დანიშვნას აქვს არამარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა. ლი გინი წარმოშობით არ არის იაპონელი თავადი, არამედ მემკვიდრეა კორეის ყოფილი საიმპერატორო სახლისა. როგორც ცნობილია, იაპონიის ექსპანსიის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა კორეა. მე-16 საუკუნის დასასრულს იაპონელმა შოგუნ ხიდეიოშმა ჩაატარა ლაშქრობა, იაპონია-ჩინეთის 1894-95 წლის ომი წარმოიშვა კორეის საკითხის გამო.

1896 წელს რუსეთსა და იაპონიას შორის დაიდო ხელშეკრულება კორეის დამოუკიდებლობის შესახებ. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ 1904-05 წ. წ. კორეა მოჰყვა იაპონიის მფლობელობაში. 1910 წელს იაპონიამ მოახდინა კორეის ანექსია, იქ დაინიშნა გენერალ-გუბერნატორი. კორეის უკანასკნელი იმპერატორის შვილი, პრინცი ლი გინი 1920 წელს დაქორწინდა იაპონიის პრინცესა მასაკოზე.

პრინცი ლი გინის დანიშვნა იაპონიის ავიაციის უფროსად არის სიმბოლო იაპონია-კორეის ერთიანობისა.

## იაპონელთა წარმატებანი

როგორც იაპონური გაზეთი „იომიური ხოჩი" იტყობინება, იაპონიის საზღვაო ძალების მიერ ჩაძირულია სულ 62 კრეისერი, ხოლო 25 კრეისერი მძიმედ არის დაზიანებული.

იაპონიის საიმპერატორო სადგომის ცნობით, კუნძულ ბუგენვილზე მოხდა გამძაფრებული საჰაერო ბრძოლა იაპონიისა და ამერიკის თვითმფრინავებს შორის. ჩამოგდებულია მტრის 27 თვითმფრინავი, იაპონელთა დანაკარგი უმნიშვნელოა.

პირველი მსოფლიო ომის 29 წლისთავისათვის

# რამდენიმე შედარება

აღვნიშნავთ რა პირველი მსოფლიო ომის დაწყების 29 წლისთავს, უნებლიედ ისმება კითხვა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მდგომარეობის განსხვავების შესახებ წარსულ და დღევანდელ ომში.

მობილიზებული სამხედრო ძალებისა და სამხედრო მრეწველობის შედარებას ჩვენ ვერ შევძლებთ, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაში არ არის სანდო ცნობები, რომლებიც დღესდღეობით, როგორც სამხედრო საიდუმლოება, წარმოადგენენ მეომარი ქვეყნების გენერალური შტაბების კუთვნილებას. მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგიერთი შედარების გაკეთება.

გასულ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების სტრატეგიული ბაზა (ფართო აზრით) იყო შედარებით ვიწრო, მცირე და ტერიტორიულადაც ერთმანეთთან დაუკავშირებელი. თანდართულ რუკაზე ეს ბაზა წერტილებითაა აღნიშნული. ეხლანდელ ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების სტრატეგიული ბაზა შეუდარებლად ფართოა, მეტია, უფრო კომპაქტურია და წარმოადგენს დიდ სამხედრო ღირებულებას. გარდა ამისა, გასულ ომში გერმანიას შორეულ აღმოსავლეთში არ ჰქონია არავითარი სტრატეგიული პოზიციები, ვინაიდან




ჩინეთი და იაპონია მაშინ მის მოწინააღმდეგეთა რიცხვში იყვნენ, ეხლა კი მის მხარეზე არიან იაპონია, ფილიპინები, ბირმა, სუმატრა, იავა, ბორნეო, ცელებესი, მალაის ნახევარკუნძული და ნაციონალური ჩინეთი.

მეომარი ქვეყნების ცოცხალ ძალთა მარაგის შედარება სჩანს მეორე სქემაზე. გასულ ომში ეს შეფარდება უდრიდა 1:10 (არა გერმანიის სასარგებლოდ), ეხლა კი არის 9:11.



გერმანიის სტრატეგიული ბაზა

გასულ მსოფლიო ომში გერმანიის სამუშაო ძალა ყოველწლიურად მცირდებოდა, ეხლა კი იზრდება და, გარდა ამისა, საგრძნობლად აღემატება პირველ მსოფლიო ომის სამუშაო ძალას აბსოლუტური რიცხვით, როგორც ეს ჩანს მესამე სქემიდან.

გარდა ამისა გასული ომის 52 თვის განმავლობაში ჩაძირული იყო მტრის სავაჭრო ფლოტის 12.800.000 ბრუტოტონა, ხოლო დღევანდელ ომში 47 თვის ბოლოსათვის ამ რიცხვმა 30 მილიონ ბრუტოტონას მიაღწია.

ყველა ეს შედარება ლაპარაკობს იმაზე, რომ გერმანიისა და მის მოკავშირეთა მდგომარეობა დღევანდელ ომში ბევრად უკეთესია, ვიდრე ეს იყო წარსულ მსოფლიო ომში.




მტრის ფლოტის დანაკარგი

# ახალი არმიების საბრძოლო აღჭურვილობა

დასასრული

„ჯენერალი ლიი" იწონის 28 ტონას, მისი ჯავშნის სისქე 55 მილიმეტრია, აქვს ორი ქვემეხი; ერთი მათგანი, რომლის კალიბრია 37 მილიმეტრი, მოთავსებულია კოშკში და მოქმედებს ავტომატურად, ხოლო მეორე ქვემეხი 75 მილიმეტრიანია. მართალია ტანკის კორპუსი ხელსაყრელია და ამტანიანი, მაგრამ მის სერიოზულ ნაკლად ითვლება ის გარემოება, რომ იგი ამცირებს საცეცხლო არეს. ტანკს აქვს მოტორი საჰაერო გაცივებით, რომლის სიმძლავრე 400 ცხენის ძალას უდრის. ამ ტიპის ტანკები თავისუფლად ანვითარებენ სისწრაფეს — 40 კილომეტრს საათში.

„ჯენერალ ლიის" ტიპის ტანკებს უგზავნიდნენ ამერიკელები საბჭოთა კავშირს და სარგებლობდენ აგრეთვე ჩრდილო აფრიკაში. ამ ტანკის კონსტრუქცია მალე იქნა გადაკეთებული ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად და გადაჭრით გაუმჯობესებული ტექნიკური თვალსაზრისით. სწორეთ ეს არის ახალი მოდელი, რომელსაც უწოდებენ „ჯენერალ შერმანს". ამ ტანკის მოტორიც 400 ცხენის ძალის სიმძლავრისაა, ჯავშნის სისქე 65 მილიმეტრია, იწონის 30 ტონაზე მეტს (ორჯერ მეტს, ვიდრე პირველი ტიპი), მიუხედავად ამისა, მისი სისწრაფე თითქმის უდრის 40 კილომეტრს საათში. ტანკის კოშკში მოთავსებულია 75 მილიმეტრიანი ქვემეხი. იგი დადგმულია სადგამზე, რომელსაც ამსუბუქებენ ე. წ. ამორტიზატორები. ტანკის შასს აქვს ერთნაირი წინაღობა, რაც მიღებულია გარეცხილი ფოლადის ელემენტისაგან. სადგამს 15 წამის განმავლობაში შეუძლია მოახდინოს ერთი სრული შემობრუნება. 37 მილიმეტრიანი ქვემეხი მცირე მოქმედების უნარიანია სხვა ტანკების წინააღმდეგ.

### საბჭოთა ტანკები.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მან შეჰქმნა უმთავრესად მძლავრი ტანკები, რომელთა სიდიადეზე გაჰყვირიან ბოლშევიკები, მაგრამ საბჭოთა ტანკები არ წარმოადგენენ ტექნიკის ორიგინალურ გამოვლინებას. საბჭოთა ტანკები წარმოადგენენ უცხო ქვეყნების ტანკების გადაღებას. ესპანეთის ომმა გამოამჟღავნა საბჭოთა ტანკი „T 26", რომელსაც ერთი 45-მილიმეტრიანი ქვემეხი ჰქონდა და იწონიდა 9 ტონას. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ახალი საბჭოთა ტანკი „T 28", რომელსაც ედგა გერმანიის საავიაციო მოტორისაგან გადაღებული ტიპის მოტორი და იწონიდა 28 ტონას.

იმის შემდეგ საბჭოთა კავშირში მრავალი მოდელი გამოსცადეს. ტანკი „T 34", რომლის სიძლიერეზეც ბევრს ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირში, უძლური აღმოჩდა. გერმანელებმა მას დაუპირისპირეს უფრო მძლავრი ტანკები.

ტანკი „T 34" ისეთივეა, როგორც ამერიკული „კრისტი ტანკი", მხოლოდ უაღრესად სრულყოფილი. ამ ტანკის წონა 26 ტონაა, შეიარაღებულია ერთი 75 მილიმეტრიანი ქვემეხით, სწრაფია და ფართო საცეცხლო არე აქვს, ტანკს აგრეთვე აქვს ორი ტყვიამფრქვევი. მისი ჯავშანი ყუმბარას დიდ წინაღობას უწევს. ტანკი „T 34" ადვილი სამართავია და სწრაფი (სიჩქარე უდრის 50-55 კილომეტრს საათში).

საბჭოთა კავშირმა ააგო მძიმე ტანკი „T 35", რომელიც წარმოადგენს ინგლისური ტანკის „ინდერპანოლანტის" მოდელს. მისი სიგრძე 2,6 მეტრია, სიგანე 3,20 მეტრი და ამდენივე სიმაღლე. ეკიპაჟი შესდგება 11 კაცისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯავშანი არ აღემატება 30 მილიმეტრს, ის მძლავრია, იწონის 45 ტონას და მოძრაობს 30 კილომეტრის სისწრაფით საათში. ტანკს კოშკში აქვს ერთი 75-მილიმეტრიანი ქვემეხი, ორი 45-მილიმეტრიანი ქვემეხი და ხუთი ტყვიამფრქვევი.

საბჭოთა არმიას უმთავრესად აქვს ტანკები KWI და KWII ტიპისა, უკანასკნელი იწონის 52 ტონას, მაგრამ ეს ტანკები არ წარმოადგენენ ნამდვილ საბრძოლო ტანკებს, ისინი უპასუხებენ სულ სხვა მოთხოვნილებებს, რის გამოც ადვილად და სწრაფად ნადგურდებიან მძიმე არტილერიის მიერ.

### ფრანგული ტანკები.

ჩვენ ამ წერილში არაფერი გვითქვამს იმ ტანკების შესახებ, რომელთაც ფლობდა საფრანგეთის არმია 1940 წელს. ამჟამად ისინი სრულიად გარდაქმნილნი არიან გერმანიის ტექნიკის მიხედვით და უპასუხებენ საბრძოლო მოთხოვნილებებს.

### ღერძის სახელმწიფოთა უპირატესობა.

მიუხედავად „მოკავშირეების" კარგი ხარისხის ტანკებისა („ჯენერალი შერმანი" და „T34"), ღერძის სახელმწიფოების ჯარებს არ ჰქონიათ შემთხვევა მტრის ტანკებს შეეჩერებინათ მათი ძლევამოსილი სვლა. გერმანიის ტანკები სიმძლავრითა და საბრძოლო მოქმედების მაღალი უნარით დიდათ აჭარბებენ „მოკავშირეთა" ტანკებს. გერმანიის არმიამ ტანკების განვითარებასთან ერთად შეჰქმნა ძლიერი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება.

გერმანიამ „მოკავშირეთა" ტანკებს დაუპირისპირა ტანკი „ტიგრი", რომლის სიმძლავრეზე და ბრძოლის უნარზე ლაპარაკობენ მისით მოპოვებული წარმატებანი. ჯერჯერობით ძლიერ მცირე დაწვრილებითი ცნობები გვაქვს ამ „ზეტანკის" შესახებ, რომლის სიგრძე 7 მეტრია, სიგანე 3 მეტრი და სიმაღლე 2,7 მეტრი. იწონის იგი 5 ტონას და ანვითარებს სიჩქარეს საათში დაახლოებით 50 კილომეტრს, მასზე მოთავსებული 900-1000 ცხენისძალიანი მოტორის მეშვეობით. მისი მოქმედების რადიუსი აჭარბებს 100 კილომეტრს. ამ ტანკის ჯავშანი უკუაგდებს მსხვილ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების (105-120 მილიმეტრი) ყუმბარებს.

„ტიგრი" შეიარაღებულია გრძელი მსხვილი კალიბრის ქვემეხით, რომლის ყუმბარები სჭრიან 10 სანტიმეტრიან სისქის ჯავშანს.

ფრანგულიდან თარგმნილი
ივ. გახოკიძის მიერ.

# მორიგი ტრიუკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულობით წითელ არმიაში შემოღებულია ოფიცრის წოდება. წინათ იყო მეთაური, ეხლა ოფიცერი. გამოთქმები „ოფიცერთა კორპუსი“, „ოფიცრის მუნდირის ღირსება“, „ოფიცრული სიამაყე“ ოფიციალური დოკუმენტებიდან გადაიტანეს საბჭოთა პრესაში, რომელთა წინაშე ქედს იხრიან.

სიტყვა „ოფიცერი“ ოდესღაც ზიზღს ჰგვრიდა ბოლშევიკებს, მას დასცინოდნენ და სდევნიდნენ.

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს ითამაშონ მორიგი ტრიუკი. ოფიცრის წოდების დაწესება წითელ არმიაში გამოწვეულია შემდეგი მიზეზების გამო: პირველი — რაც მთავარია ოქროს პაგონები და სხვა ატრიბუტები საკმარისი არ აღმოჩნდნენ კომისართა ინსტიტუტის შესაცვლელად, მეორე — ერთმართველობამ, პაგონებმა და სხვა ღონისძიებებმა „ვერ დაამყარეს“ წესრიგი და დისციპლინა გადაგვარებულ, გახრწნილ წითელ არმიაში, რომელიც უხალისოდ იბრძვის მისთვის უცხო ინტერესებისათვის.

ოთიცრის წოდების შემოღება წითელ არმიაში — ეს მორიგი ბოლშევიკური მანევრია, რომლის მიზანია ტერორის კიდევ უფრო გაძლიერება. ამ ტრიუკით ბოლშევიკები მორუკენ ხალხს ბრძოლის ველზე.

ყველასათვის ნათელია ის გარემოება, რომ გახრწნილი წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და დისციპლინის განმტკიცება არ შეუძლია არც პაგონებს, არც ოფიცრის წოდების შემოღებას. ჩვენს ხელთ არის ტყვე წითელარმიელების ჩვენებანი, რომლებიც გადმოგვცემენ, რომ ამჟამად წითელ არმიაში მორალური განწყობილება ერთობ ცუდია. დისციპლინის შენარჩუნება ძნელი გახდა შინსახკომელთა და სპეციალური დამსჯელი რაზმების მიერ გაჩაღებული საშინელი დევნისა და ტერორის მიუხედავათ.

ოფიცრის წოდების მიღება ბრძანებულობის თანახმად შეუძლია ყველა მებრძოლს, რომელიც ამ წოდებას დაიმსახურებს თავისი მოღვაწეობით . საჭიროა იყო მხოლოდ საზარბაზნე ხორცი, ყურმოჭრილი მონა ბოლშევიკების უაზრო გრძნობებისა და საკმარისია გახდე ოფიცერი. ასე ესმით ბოლშევიკებს ოფიცერი და მისი დანიშნულება.

წითელ არმიას ვერც ეს მორიგი ტრიუკი უშველის.

# საბჭოთა სოფლის მდგომარეობა

ჩვენს ხელთაა წითელი არმიის ერთერთი ნაწილის საველე ფოსტა. მასში თავმოყრილია მრავალი წერილი. ამ წერილებს ფრონტზე მყოფთ უგზავნიდნენ ზურგიდან მშობლები, დები, შვილები... მათი უმრავლესობა დაწერილია 1943 წლის მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში... საშინელი ცენზურის მიუხედავად ამ წერილების სტრიქონებში ამოიკითხავთ იმ საშინელებას, რომელიც სუფევს საბჭოთა სოთილში ომის შედეგად.

ცენზურის ტლანქ მაკრატელსა და წითელ ზოლებს გადაურჩა ზოგიერთი რამ, რომელიც ასე საშინლად ხატავს საბჭოთა გლეხის უსიხარულო და მიწასთან გამასწორებელ დუხჭირ ცხოვრებას. შიმშილმა და სიღატაკემ შესცვალა სოფლის სახეც კი...

„ჩვენს სოფელში ახალი არაფერია — არის მხოლოდ ერთი მწუხარება და ცრემლი“ — სწერს ფრონტზე მყოფ სერაფიმ შლიაპინს თავისი ცოლი. რაია უსაკოვა თავის ძმას ნიკოლოზს მთელი საშინელებით უხატავს სოფლის სურათს:

„სოფელში ახალი არაფერია. ხშირად გაიგონებ მოულოდნელ ხმაურს, გაიქცევი ამბის გასაგებად, გაიგებ „დაიღუპა გმირულად“?!.. მეორე წელია ვცხოვრობ ამ საშინელებაში, ნერვები ისე დამისუსტდა, რომ ხეირიანად ვერ ვაზროვნებ. მამაკაცები სოფელში აღარ არიან, ბავშვებიდან მხოლოდ ვასკა კოროლევი დარჩა, გოგონები მობილიზაციის წესით გაგზავნეს სამუშაოდ“.

მეტად მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება მათ, ვინც სოფელში დარჩა. ნ. ვავილოვა სწერს ზელენკოვს: „კართოფილს ვრგავთ ქვიშაში, ცხენები არა გვყავს, იძულებული ვართ თვით შევსცვალოთ ისინი“. ყოველ წერილში, ყოველ სტრიქონში გოდებაა შიმშილზე. გლეხი ანდრეი პროკოფიევიჩი თავის ძმისწულს ატყობინებს:

„ვცხოვრობ ძალზე ცუდად — არ არის საკვები, ფუთი პური ბაზარზე 1.200-1.500 მანეთია, კართოფილი —300 მანეთი საწყაო, ერთი სიტყვით ყველაფერი ძვირია“.

გაწამებული გლეხკაცობა ოცნებობს ომის დამთავრებაზე, მას სწამს, რომ ბოლოსდაბოლოს აღიგვება პირისაგან მიწისა ბოლშევიზმი. „როდის დამთავრდება ეს წყეული ომი?!“, „კიდევ დიდხანს გველის ტანჯვა“.?!.. ასეთი სახის საყვედურებითაა აღსავსე წერილები.

წერილებში სჩანს ხალხის უკმაყოფილების მძლავრი ზრდის ნიშნები. მართალია, ცენზურის საშინელი მარწუხები არ გვაძლევენ საშუალებას სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამაზე, მაგრამ აქა-იქ წერილებში მაინც გამოკრთება ხალხის პროტესტის მღელვარე ხმები. ბრძოლის ველზე მყოფ კონსტანტინე კუზნეცოვს დიდა სწერს: „ვალოდიას შესახებ არაფერი ვიცოდით, გამოგზავნეს დოკუმენტი, რომ იგი გადასახლებულია საკონცენტრაციო ბანაკში და ათი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება მიწერ-მოწერა იქონიოს“.

ვერავითარი ტერორი, ვერავითარი საკონცენტრაციო ბანაკები, დევნა და შევიწროება ვერ იხსნის დასამსხვრევად გამზადებულ სისხლიან ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელმაც ხალხი მიიყვანა უუფლებო, დუხჭირ და ჯოჯოხეთური ცხოვრების საშინელებამდე.

# ყველა ბრძოლის ველზე.







პოლკ. შალვა მაღლაკელიძის სახელობის ათასეულმა კავკასიის ფრონტზე ყოფნის დროს არაერთი გმირული ფურცელი ჩასწერა ქართველი ხალხის ბრძოლების ისტორიაში. ეხლა ეს ათასეული კვლავ გაემგზავრა ფრონტზე. სურათზე: ათასეული გამგზავრების წინ.

# დიდი ქართველი მოღვაწენი

## 3. გიორგი წერეთელი

გიორგი წერეთელი თავისი მსოფლმხედველობის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პოეტური შემოქმედების მიხედვით ეკუთვნის 60-იანი წლების ქართველი საუკეთესო ინტელიგენციის თაობას.

გ. წერეთელი დაიბადა 1842 წელს შეძლებული თავადის ოჯახში. მან წარმატებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიის კურსი, რის შემდეგ სხვა მეგობრებთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა. გ. წერეთელი პეტერბურგში ჩასვლისთანავე მაშინდელი მოწინავე სტუდენტების საქმიანობით და მოწინავე ინტელიგენციის აზროვნებით იყო დაინტერესებული. სტუდენტობის 1861 წლის მოძრაობაში მონაწილეობის გამო იგი სხვებთან ერთად დააპატიმრეს.

გ. წერეთელს როდი აკმაყოფილებს პეტერბურგში მიღებული განათლება, ცოდნის შევსების მიზნით მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში და მის საუნივერსიტეტო ქალაქებში ბუნებისმეტყველებისა და სოციოლოგიის დარგში ისმენს ლექციებს. დასავლეთმა ევროპამ ბევრი რამ მისცა ჩვენს მომავალ საზოგადო მოღვაწეს და ამიტომ იგი იმ დროს ყველაზე ადრე გრძნობდა ჩვენი ცხოვრების გაევროპელების აუცილებლობას.

ლიტერატურ ასპარეზზე გ. წერეთელი გამოვიდა სტუდენტობის დროიდანვე. 1862 წელს ის თერგდალეულის ფსევდონიმით პეტერბურგიდან უგზავნის ჟურნალ „ცისკარს“ წერილს, რომელიც გამოდიოდა ივანე კერესელიძის რედაქტორობით. ამის შემდეგ მონაწილეობას ღებულობს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. 1869 წლიდან სათავეში ჩაუდგება ჟურნალ „კრებულს“. 1891 წლიდან თავის მეუღლესთან — ანასტასია თუმანიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს“, ხოლო 1893 წლიდან დაიწყო კვირეული ჟურნალის „კვალის“ გამოცემა. გ. წერეთლის რედაქტორობითვე გამოდის „სასოფლო გაზეთი“.

გ. წერეთელი ეწევა დიდ მხატვრულ შემოქმედებას, მის კალამს ეკუთვნის ისეთი მშვენიერი ნაწარმოებნი, როგორიცაა: „ჩვენი ქვეყნის ყვავილი“, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, „რუხი მგელი“, „მამიდა-ასმათი“, „გულქან“, „პირველი ნაბიჯი“ და სხვ. გ. წერეთელი თავის მხატვრულ - ლიტერატურულ შემოქმედებაში განიცდის ილია ჭავჭავაძის გავლენას. იგი უფრო მეტად პუბლიცისტია და საზოგადო მოღვაწე, რაც სჩანს მის მხატვრულ შემოქმედებაში, სადაც მეტია პუბლიცისტიკა.

60-იანი წლების თერგდალეულთა ახალთაობას ახასიათებს ძველი ცხოვრების ფორმების უარყოფა და ახლის ძიება. „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“ — ასეთი იდეა დაუსახა მაშინდელ ქართველ მოღვაწეთ ქართველი ერის გონებისა და აზროვნების მწვერვალმა, ილია ჭავჭავაძემ. ამ თაობის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე ამბობს: „ამათი მიზანი იყო ბრძოლა ბატონყმობასთან, როგორც სოციალურ მავნე და ბოროტ წყობასთან“.

პიროვნების თავისუფლება, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება და საერთოდ ყველა სახის პროგრესული და საკაცობრიო იდეები მოდიოდნენ დასავლეთი ევროპიდან და თქმა იმისა, თითქოს ქართველ ინტელიგენციას თარგივით გადმოეღოს ჩვენში რუსული პროგრესული მოძრაობის ასლი, სიმართლეს მოკლებულია. ქართველი საუკეთესო ინტელიგენციის წარმომადგენელი უშუალოდ ეცნობოდა და სწავლობდა ევროპულ საგანმანათლებლო მოძრაობას, რომელსაც უფარდებდა ქართულ სინამდვილეს. ჩვენში 60-იან წლების მოძრაობა არის ნამდვილად წმინდა ქართული სინამდვილის ანარეკლი.

გ. წერეთელი სწორედ ამ მოძრაობის შვილია, მართალია მისი „კვალის“ გარშემო თავს იყრიდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები, ე. წ. „მესამე დასელები“, რომლის იდეოლოგია იყო უცხოეთიდან გადმორგული მარქსისტული მსოფლმხედველობა, მაგრამ გ. წერეთლის ნამდვილი ბუნება შორს იდგა „მესამე დასის“ იდეოლოგიასთან და ასეთადაც დარჩა ბოლომდე. გ. წერეთელი თერგდალეულთა პლეადის თვალსაჩინო წარმომადგენელია და არა „მესამე დასელი“, როგორც ამას ამტკიცებენ საბჭოთა ოფიციალური კრიტიკოსები.

მართალია გ. წერეთელმა თავისი ჟურნალი „კვალის“ რედაქციის კარები ფართოდ გაუღო ყველა ამ ახალ ძალას, როგორც თვითონ ამბობს: „არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდას.... თავისებური პროგრამით“, იგი სიმპათიურად უცქეროდა „მესამე დასელების“ მოძრაობას, მაგრამ გ. წერეთელი არასოდეს არ მდგარა „მესამე დასელების“ პოზიციაზე.

გ. წერეთელი, მთელი 40 წლის მანძილზე, როგორც მოჭირნახულე, თავს დასტრიალებდა ქართველი ხალხის ცხოვრებას. იგი იღწოდა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის და სურდა მოეწყო ჩვენი ერის ცხოვრება ევროპული სამოქალაქო ცხოვრების წესით. ამგვარად გ. წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება, მთლიანად საქართველოს ცხოვრების სინამდვილის გარშემოა ამოძრავებული.

გ. წერეთელი არამარტო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა, არამედ არის პუბლიცისტიც, რომლის ბეჭედი ღრმად აზის მთელს მის მხატვრულ შემოქმედებას; იგი არის აგრეთვე არქეოლოგი და ისტორიკოსი.

გ. წერეთელს ახასიათებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და ღრმა ცოდნა, მას გააჩნია დიდი დაკვირვების, მტკივნეული მოვლენების დანახვისა და მათი გარდაქმნის უნარი. ამიტომ მას დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ლეგ. დურუჯელი

# ახალი სამხედრო ტექნიკაში

## ნისლ-მფრქვევი

... ღრუბელმფრქვევის გერმანული ბატარიები განუწყვეტლივ ისვრიან თავიანთ გრანატებს მტრის წინააღმდეგ. გრანატები წინ მიიწევენ შუშხუნების საშუალებით... საოცარი სურათია: აღმოსავლეთის ფრონტის ცაზე მოსჩანს კვამლის ბოლქვები; ფოლადის მსგავსი ცეცხლის ენები გამოკრთის აქა-იქ, როცა ისვრიან ბატარიები...





# მეგობარს

მახსოვს მითხარი, მეგობარო, ლექსი მიძღვენო
მოსაგონარად ალბათ გინდა, რომ შეინახო,
მაშ გევედრები, სასიცოცხლოდ გაგრძელდით დღენო,
რათა წელთ შემდეგ ამ ფურცელზე ეს ლექსი ნახო!

რომ წარმოგიდგეს ჩვენი ყოფნა უცხო მხარეში
განცდილი ტანჯვა და სიამე უფრო მრავალი.
ჩვენ გავიარეთ ეს დღეები ერთად თარეშში
და კიდევ, ძმაო, ჯერ ბევრია გზანი სავალი.

მე არც კი მინდა გავიხსენო ჩემი წარსული,
შენთვისაც იყოს ბუნდოვანი, უკეთესია;
განა არ იცი —რით ტყვეობდა იქ ჩემი სული
და ნაწამ თვალებს რის ცრემლები დაუთესია.

ოცნების ვარდებს რწყავდა გველი შხამით და მტრობით,
შავი ზმანებით ამომივსეს მთითქავი გული,
უწმინდეს სუნთქვას სწვავდნენ ცეცხლის ალით უქრობით
და გრძნობა-აზრებს გაუთხარეს შავი უფსკრული.

და იყო გმინვა, გლოვა, ზარი, ცრემლის ღვრა, კვნესა,
დაბოგინობდა კაცთა სუნთქვა მხოლოდ წამიერ.
სიკვდილის ლანდი გადაჰკვროდა ჩვენს სიცოცხლესა,
არსად ისმოდა ქართველური მრავალჟამიერ.

ეს მოგონება, ეს დღეები ეკუთვნის წარსულს,
მომავალი კი მწამს აღსდგება მძლე, ბედნიერი;
მაშინ ახდება, რაც სწყურია დატყვევებულ სულს,
მაშინ იმეფებს როგორც ძველად ქართველი ერი.

მერწმუნე, ძმაო, ჩვენ ვიქნებით თვითონ მოწამედ
თავისუფალი საქართველოს მიწის, მამულის.
ჩვენ მოვიგონებთ ამ წუთისთვის როგორ ვეწამეთ
და შევიქნებით მკვიდრი შვილნი ლაღ სიხარულის.

ლეგ. კ. რაჭველი.

# ლოპიანას დუქანში

როცა ფიქრი ცხოვრებაზე მბურავს
და გულს მოსდის მძაფრ სიტყვების თქეში,
მივაკითხავ ლოპიანას დუქანს,
რომ გამოვთვრე თეთრი ღვინის ეშხით...

აქ მეეტლე, თუ ავარა ქუჩის,
ღამის ქურდი, თუ მეკურტნე ვინმე
იკოცნება დასველებულ ტუჩით,
განთიადი არ მოაღწევს ვიდრე...

აქ სინაზე აღარ არის ქალის,
აქ სიტყვაა პირდაპირი და მძლე,
აქ ხოტბას ვერ გაიგონებთ მთვარის,
აქ გულია გახსნილი და გამძლე;

აქ დინჯის ხმით ადიდებენ მწირველთ,
აქ ლოცავენ მთვრალი სიტყვის თქეშით,
ვინც ეს ღვინო მოიყვანა პირველ
და ჩასწურა საქართველოს ქვევრში!..

აქ არლანი საიათნოვას უკრავს,
აქ ჰაზირა ყოველღამე თვრება,
აქ გივიშვილს პაექრობა უნდა,
სკანდარნოვა მისი ჯავრით კვდება!..

მეც აქა ვარ... და წინ მიდგას ჭიქა,
ვზივარ მარტოდ, უმეგობრო ლანდი,
ვინ მოისმენს ჩემს ნაღვლიან სიტყვას,
აქ ვის ვუთხრა ჩემი გულის დარდი?!.

ლოპიანა, შენ მაინც რას სტირი,—
თვალებიდან შავი ნისლი მოთოვს...
რისთვის კვნესის შენს დუქანში სტვირი...
ნუთუ ქვეყნად შენც გაგწირეს, ლოთო!..

მოდი ჩემთან! მაინც მარტოდ ვთვრები...
თასი მაღლა თეთრ კახურით სავსე,
ჩვენ ორივე ამ დუქანში ვდნებით,
ჩვენ ორივეს ერთი ფიქრი გვავსებს!..

შუაღამე გადავიდა ახლა...
ქალაქს სძინავს, არ ხმაურობს ქუჩა,
ლოპიანა დგას საკუთარ დახლთან,
შუბლი ნისლით შებურვილი უჩანს.

რათ არ მოხვალ, როს გეძახი მარტოს,
დამიცალე ეს კახური თეთრი...
ნუთუ შენშიც ვერ შევძელი ვანთო
ჩემი ფიქრის მოზიარე ერთი?!

ნუთუ ერთხელ არ მოგწყინდა მაინც
ეს ველური ბოჟირი და შფოთი,
დაივიწყე ლურჯი ცა და ქარიც,
გახდი დუქნის უთვისტომო ლოთი!

ჩაგეთვლიმა... საბრალო ხარ სწორეთ.
ეს სტვირი კი ისევ ეშხით თვრება;
არ გიმტყუნოს იქ სკამების ყორემ,
რა კარგია ეს მწირული თვლემა!

საცა არის გათენდება კიდეც,
ქუჩის ხალხის ჟრიამული მესმის,
აქ ლოთობა გრძელდება და ისევ
ჩემი გული თარის სიმზე კვნესის!

ლეგ. ვ. ურდოელი.

1938 წ., ქ. თბილისი.

## რამდენ ხანს გძინავთ თქვენ?

დიდი ხანია, რაც მეცნიერები მუშაობენ ძილის ხანგრძლიობის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ორგანიზმისათვის. ძილი ყველაზე მეტად სჭირდებათ ბავშვებს. მათ უნდათ მეტად ხანგრძლივი ძილი, ვიდრე მოზრდილებს. მოხუცებულებისათვის საკმარისია ხანმოკლე ძილი. საშუალოდ ბავშვებს სჭირდებათ ჩვეულებრივად ძილის ხანგრძლიობა 9-10 საათი, მოზრდილებს კი — 6-8 საათი.

ჩვენ ვიცით ხანგრძლივი და უმოკლესი ძილის ისტორიული მაგალითები. ფრიდრიხ დიდს აკმაყოფილებდა ოთხსაათიანი ძილი. კონკურენტს ამ შემთხვევაში ფრიდრიხისათვის წარმოადგენდა ნაპოლეონი, რომელმაც დააწესა შემდეგი: „ხუთი საათი ძილი მოზრდილთათვის, ექვსი საათი ახალგაზრდებისათვის, შვიდი საათი ქალებისათვის და რვა საათი ბრიყვებისათვის". გენერლებს ხშირად უკვირდათ ის, რომ ნაპოლეონი გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ღრმად იძინებდა, შემდეგ მოულოდნელად იღვიძებდა და დაუყონებლივ შეუდგებოდა სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობას.

ბისმარკსა და გოეთეს დიდხანს ეძინათ. ერთხელ გოეთეს ეძინა მთელი დღე და ღამე. ზოგიერთი პოემა მას ლოგინში აქვს შექმნილი.

# ბიბლიოგრაფია

FRANZ TOUSSAINT:
Chants d'Amour et de Guerre
de l'Islam.
მარსელი, 1942 წ.

ძვირფასად გამოცემული წიგნია, მშვენივრად დასურათებული და შემკული. იგი ეხება ისლამური ქვეყნების პოეზიას: სიყვარულისა და ომის სიმღერას. ესაა ფრანგულად ნათარგმნი ლექსები: არაბული, სპარსული, ავღანური, ბელუჯისტანური, ალტაური, თურქული, ეგვიპტური, მაროკული, ჰოგარული, ჩერქეზული და... ქართული!

ყველა ეს ლექსი თუ სიმღერა, პროზით ნათარგმნი, წარმტაცია და მომხიბვლელი. აქაა უსაზღვრო გრძნობა სიყვარულის მშვენიერებისა და სიდიადე ვაჟკაცობისა, ამღერებული მაჰმადიან მგოსანთა მიერ. მაგრამ რა უნდა აქ ქართულ სიტყვას, რომელიც მაჰმადიანური ანუ ისლამური არ არის? ვფიქრობთ, ეს აიხსნება ორი გარემოებით: ან ქართველი მგოსნები სწერდნენ არაბულადაც, ან აქ არის ქართულიდან არაბულად ნათარგმნი ლექსები. ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს და საკითხი გამოურკვეველი რჩება.

ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი ამბავი, რომლის გამო ჟურნალ „ქართლოსში" წერილი იყო მოთავსებული. ერთი ბერძენი ამტკიცებდა, თითქოს შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" არაბულად იყოს ნათარგმნი და ამის გარდა „ქართლოსში" დაბეჭდილი იყო ამ ბერძენის მიერ არაბულიდან ბერძნულად ნათარგმნი, ხოლო ბერძნულიდან აწ გარდაცვალებული პროფ. აბულაძის მიერ ქართულად ნათარგმნი შოთას ლექსები, რომლის შესატყვისი ქართულში არ მოიპოვება!

ეხლაც, ტუსენის წიგნის იმ განყოფილებაში, რომელსაც სათაურად აქვს; „შან დე ჟეორჟი" (სიმღერები საქართველოსი) პირველ ადგილზე მოთავსებულია თავადი ზუმალის ლექსი პროზით ნათარგმნი: „ვარდი".

თავადი ზუმალი ძველ ქართულ მწერლობაში სრულიად უცნობი ფიგურაა! მაგრამ ამ ქართველის ლექსი, როგორც ვხედავთ, არაბულ ენაზე დღესაც არსებობს! ეს ლექსი შემდეგია:

თავადი ზუმალი.

### ვარდი

**ყველა წალკოტში ფუჭად ვეძებე ვარდი, რომელსაც შენთა ლაწვთა ფერი ექნებოდა. ეხლა, ჩემი სიცოცხლის მწუხრის ჟამს, ვიცი, მას ვერასოდეს ვიპოვნი. დარჩი მჯდომარე მზის ამ სხივებში. გავრეკავ ფუტკრებსა და პეპლებს, რომელნიც მოვლენ შენდა შესაწუხებლად.**

**დამიჯერე! ხელი ჩემი არ შეეხება შენს თმებს. ჩრდილიც ჩემი ხელისა არ გაეკარება შენს ლაწვებზე შენთა წამწამთა ჩრდილსაც კი. თუ მიხილავ იდუმალ მტირალს, იგალობე სიმღერა, რომელშიც ნათქვამია დიადი განსვენება, რომელსაც, დაბოლოს, იგემებენ ისინი, ვინც მოკლულნი არიან სიყვარულისაგან.**

ეს მშვენიერი ლექსი ქართულიდან არაბულად თარგმნილი, არაბულიდან ფრანგულად და ფრანგულიდან ეხლა კიდევ ქართულად, რაოდენ მშვენებას დაჰკარგავდა! ვინ იყო, ნეტავ, ეს დიდი მწერალი თავადი ზუმალი?

წიგნში მოთავსებული მეორე ლექსის ავტორია მწერალი შავთალი. ეს, უეჭველია, მეთორმეტე საუკუნის ჩვენი დიდი მგოსანი შავთელია. აი მისი ლექსიც:

### შავთალი

**მას ვეტყვი, რომ არ ძალმიძს უმისოდ სიცოცხლე და წაველ ქვეყნის კიდისაკენ მისდა საძებრად. იგი მეტყვის: „ქვეყნის კიდე არც ისეა შორს. იგი იქაა, სადაც არა ვარ მე. მაგალითად: შენს ბინაში".**

**რას ვუპასუხებ მე მაშინ? რაღას ვუპასუხებ მე მას, რადგან მას ნება არ მივეც მოსულიყო ჩემს ბინაში დასასადგურებლად, ოდეს მან ეს წინათ შემომთავაზა?**

მაგრამ ყველაზე უფრო უცნაურია აქ შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხის ტყაოსანი", შემდეგი სათაურით: **რუსთუალ:** „ლა პო დე ლეოპარ". უეჭველია, ეს რუსთუალ არის რუსთაველი, ხოლო „ტყავი ლეოპარდისა", მისი „ვეფხის ტყაოსანი".

უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჟურნალში „ქართლოსი" მოთავსებული ლექსები რუსთაველისა ქართულ მწერლობაში ცნობილი არაა. არც ბ-ნ ტუსენის ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსებიდან, რომელსაც სათაურად აქვს: „ტყავი ვეფხისა" და ავტორის თქმით ამოღებულია ამ პოემიდან, არც ერთი სტრიქონი არ მოიპოვება ჩვენს „ვეფხის ტყაოსანში". მაშასადამე არაბულ ენაზე დაწერილი რუსთაველის ეს ლექსები არაა „ვეფხის ტყაოსნიდან", ან არსებობს მართლა კიდევ სხვა ტექსტი „ვეფხის ტყაოსნისა", რომელსაც ქართული მეცნიერება ჯერ არ იცნობს, ან რუსთაველს აქვს სხვა ლექსებიც, რომელიც „ვეფხის ტყაოსანს" არ ეკუთვნის, მაგრამ დარჩენილია და შენახული არაბულ ენაზე.

ეს ლექსები არა ჰგავს არც იმ ლექსებს, რომელიც დაიბეჭდა „ქართლოსში", არაბულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი, და რომელიც აგრეთვე შოთა რუსთაველს მიეწერება.

ჩვენ აქ მოგვყავს ტუსენის წიგნიდან ამ მეტად საინტერესო ლექსების თარგმანი:

რუსთუალ

### ტყავი ვეფხისა (ნაწყვეტები)

**ვარ სუსტი, ვით ყლორტი ბალახისა, რომელიც ეხლახან გასთელა მთიულის ფეხმა. შემიბრალე მე! გფიცავ, ყოველ საღამოს მოვალ გიხილო შადრევანთან! მამაჩემის მხედრები ველარ სცნობენ ჩემს სახეს. შემომხედე! დაჩოქილი ვარ. ჩემი კულულები ჩაცვენილია მტვერში. რატომ არ შეიწყალებ ჩემს მწუხარებას! შენ არა გსურს მომისმინო. შენ დასჩერებიხარ გზას. გამოგყვე შენ, იქით? არა!**

დასასრული იხ. მე-6 გვ.

## ნიჩავი

### წყალქვეშ ყოფნის ხანგრძლიობის მსოფლიო რეკორდი

ეს რეკორდი დამყარებულ იქნა დიდი ხნის წინათ, ალბათ თვით ადამიანის წარმოშობამდის, და მის შემდეგ არაერთხელ განმეორებულა. იგი ეკუთვნის წყლის ობობას. წყლის დიდალ ობობას შეუძლია დაჰყოს წყალქვეშ რამდენიმე დღის განმავლობაში, ის წყალში სჩეკს თავის შთამომავლობას. თავშესაფარად ობობას აქვს მის მიერვე მოქსოვილი გარსი, რომელსაც იგი ჰაერით ავსებს და შემდეგ ჩაუშვებს წყლის ფსკერზე.

### ერთადერთი მსოფლიოში

თავის დროზე წინადადებას იძლეოდნენ ისეთი ქალაქის ასაშენებლად, რომლის ქუჩებად სახლის სახურავები უნდა ყოფილიყო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ქალაქი უკვე დიდი ხანია არსებობს. ეს არის ქალაქი მოზელექი ირანში. იგი შეფენილია მთის ფერდობზე და შესდგება ერთსართულიანი სახლების მრავალი რიგისაგან, რომლებიც მილაგებული არიან ერთმანეთზე კიბის მსგავსად ისე, რომ სახურავთა ერთი რიგი ასრულებს სახლების შემდეგი რიგისათვის ქუჩის მოვალეობას.

<>

## გოეთეს ბრძოლა ნერვიულობასთან

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გოეთე აწარმოებდა შეუდრეკელ ბრძოლას საკუთარი ნერვიულობის წინააღმდეგ. იგი სარგებლობდა ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მეთოდით, რომელიც დღესაც, თანამედროვე თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული არ არის.

როცა ლესინგმა სთხოვა პოეტს რჩევა, თუ როგორ უნდა ებრძოლოს კაცი მელანქოლიურ შემოტევებს, გოეთემ უპასუხა, რომ ბუნების შეგრძნება და ჩვენს გარშემო გარემოცულ ბუნებრივ პროცესში მონაწილეობა არის ბრძოლის საუკეთესო საშუალებაო.

გოეთე იყო მეტად სათუთი გრძნობის ადამიანი და სწრაფად შეიგრძნობდა ბუნების ცვალებადობას. დაბალი ატმოსფერული დაწოლის დროს იგი გრძნობდა ძალღონის გამოლევას, რომელსაც ებრძოდა დაჭიმული მუშაობით. გოეთე თავის ავადმყოფური გაღიზიანების შესახებ ამბობდა შემდეგს: „ძლიერი ხმაური მაღიზიანებს, განსაკუთრებით ვიტანჯები თავბრუდახვევისაგან“.

გოეთე ებრძოდა თავის ნერვიულობას თვითდისციპლინის გზით. ლაიპციგში ყოფნისას იგი ბანაობდა ცივ წყალში, ეძინა მაგარ ლოგინში და იხურავდა მსუბუქ საბანს. სტრასბურგში იგი თავის თავს აიძულებდა განეცადა უსიამოვნება. ასე, რომ იგი დადიოდა ანატომიურ თეატრში, ღამით ეწვეოდა სასაფლაოს, დიდხანს იდგა კოშკის წვერზე. ფრიდერიკასთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, პოეტი ცდილობდა დაეყუჩებინა სინიდისის ქენჯნა ხანგრძლივი მოგზაურობით, როგორც ცხენით, ისე ფეხით და მარხილით.

ეგრეთწოდებული „ოლიმპიური“ სიმშვიდე გოეთეს ეწვეოდა არა იოლად, არამედ იგი იყო ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგი საკუთარ ნებისყოფასთან.



ქართული სამთო ასეული ლაშქრობაზე.

## მინიატურული სამეფო

პატარა ხომალდმა ქარიშხლის შედეგად ავარია განიცადა და იძულებული გახდა ღუზა ჩაეშვა კერმადეკის ჯგუფის პატარა კუნძულის სანაპიროზე. პირველად ეგონათ — კუნძულზე არავინ ცხოვრობდა, მაგრამ სანამ მეზღვაურები ქარიშხლისაგან დაზიანებული ხომალდის შეკეთებაში იყვნენ გართულნი, მათ მიუახლოვდა სამი თეთრი ადამიანის ჯგუფი, რომელთაც თან ახლდათ მღვდელი. ამ ადამიანებმა ხომალდის კაპიტანს უამბეს თავიანთი თავგადასავალი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „მე-20 საუკუნის რობინზონადა“. ყველა ეს „რობინზონელები“ აღმოჩდნენ თავიანთი ბედით კმაყოფილნი და ბედნიერნი. მათ უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადეს.

16 წლის წინათ ავსტრალიის გემი „რემბრანტი“ გამოვიდა მელბურნიდან 76 მგზავრით. იგი არ მისულა დანიშნულ ადგილზე. გემის პირადი შემადგენლობა და მგზავრები გამოცხადებულ იქნენ დაღუპულად, რის შემდეგ გემი ამორიცხულ იქნა საზღვაო სიიდან. ეს მოსაზრება ნაწილობრივ გამართლდა. „რემბრანტმა“ მართლაც განიცადა ავარია კერმადეკის კუნძულებთან ახლოს. დაღუპვისაგან გადარჩა მხოლოდ 13 კაცი, მათ შორის მღვდელი, ერთი არგენტინელი მანდილოსანი ოთხი წლის პატარა ქალიშვილი ლინდათი, მაღაროების მეპატრონე სამხრეთ აფრიკიდან, ორი ახალგაზრდა ქალიშვილი მელბურნიდან, კაპიტნის ვაჟი, 14 წლის გიორგი და ექვსი მეზღვაური.

პირველი სასოწარკვეთილების შემდეგ, გადარჩენილთა წინაშე დაისვა საკითხი საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე. კუნძული მდიდარი იყო და გამოკვების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა. დამსხვრეული გემის ნარჩენებისაგან მეზღვაურებმა ააშენეს პატარა სახლი ცალკე მამაკაცებისა და ცალკე ქალებისათვის. მღვდლის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა „კონსტიტუცია“. დედოფლად აირჩიეს ყველასათვის საყვარელი პატარა ლინდა. საგანგებო საბჭო, მოძღლის თავმჯდომარეობით ხელმძღვანელობდა მინიატურულ სამეფოს. მღვდელი ასწავლიდა ბავშვებს. როცა ლინდა გაიზარდა, იგი ცოლად გაჰყვა გიორგის, რომელიც მის ყრმობის მეგობარს წარმოადგენდა. მელბურნის ქალიშვილები თავის მხრივ ცოლად მისთხოვდნენ ორ მეზღვაურს.

კუნძულის აღნიშნული მცხოვრებლები ჯანმრთელები არიან და გადაჭრით უარყოფენ დატოვონ კუნძული.

## ქაოსი თეირანში

„ნიუს ქრონიკლს“ მოჰყავს მრავალი ცნობა ირანში მდგომარეობის შესახებ. გაზეთში გულწრფელად არის აღწერილი ის სასურსათო სიძნელენი, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში საოკუპაციო ჯარების ყოფნით. ის მცირე სატრანსპორტო საშუალებანი, რომელიც ირანის განკარგულებაში იყო, თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების ხელთ არის. ქალაქებში შიმშილი მძვინვარებს. ვრცელდება სახადის ეპიდემია.

„ნიუს ქრონიკლი“ არ მალავს იმას, რომ ირანის მოსახლეობა მტრულად არის განწყობილი ოკუპანტებისადმი. თეირანში აღარ იგრძნობა წინანდელი სასტიკი დისციპლინა. ირანული გაზეთები ორგვარ როლს ასრულებენ: ასხამს რა ქება-დიდებას ბოლშევიკებს, ზოგიერთი გაზეთი გადაჰკრავს ხოლმე ინგლის-ამერიკელთა მისამართით. სხვა გაზეთები, სწერენ რა დემოკრატიული სულისკვეთებით, მკვეთრად აკრიტიკებენ ბოლშევიკური ნაწილების ქცევას.

## ბიბლიოგრაფია

დასასრული

ჩვენ ვინანებთ ამ სიგიჟეს. მე გეკუთვნი შენ, მაგრამ ჰყავ წყალობა, ნუ მომთხოვ ვუთხრა მშვიდობით ჩემს პაწია სახლს, ყველაფერს მას, რასაც ჩემგან მე აქ დავტოვებდი! სიყვარულო, სასტიკო სიყვარულო, განა მე კვლავ უნდა ვიბრძოლო? გახსოვს შენ დაპირებანი შენნი! გახსოვს ის დღე, ოდეს შემომფიცე, რომ ბრმად დამემორჩილებოდი და იქნებოდი მონა ჩემი! ეხლა, შენ ბრძანებ უფალივით, შენ გსურს მაიძულო გამოგყვე შენ... მთანო ლურჯნო, ტყენო შავნო, წყარონო ხმატკბილნო, ველნო ყვავილებით მოფარდაგებულნო, განა უნდა დავემორჩილო ჩემს მრისხანე სატრფოს, განა უნდა სამუდამოდ მოგცილდეთ თქვენ?

რატომ ბრძანდები ჩუმად? რატომ უჭერ ხელს შენი ხრმლის ხეტარს? ჰფიქრობ დაანთხიო სისხლი ძმათა ჩემთა? ვაი მე ბედშავს! მაინც ვლოცავ იმ დღეს, როცა მე შენ გაგეცან. ხედავ, არ უნდა გეთქვა ჩემთვის სიტყვანი მომჯადოებელნი, რომელთაც დამავიწყებინეს, რომ მე სატანჯველს მივეცემოდი.

გახსოვს, შენ ეს დილა გაზაფხულისა? ჰაერში იყო ხმოანება ფუტკართა. ასულნი გალობდნენ მუსარის კრეფის დროს, ჩემი ხელი ხელთ გეჭირა. შენ უცქეროდი მერცხალს, რომლის კამარამ გამოჰკვეთა ჰაერში სიტყვები დიდებისა, სინათლისა და სიხარულისადმი.

შორსაა ეს დღე! რაოდენ დავღვარე მე ცრემლნი მას შემდეგ! მაგრამ შენ სტირი, სტირი... დაასვენე შუბლი შენი ჩემს მკერდს და დეე იდინოს შენმა ცრემლებმა. ყური დაუგდე წყაროს ჩურჩულს. იგი შენ გითვლის მადლობას, ვინაიდან შენ უარჰყავ სასტიკი გეგმა შენი. მოისმინე ჩურჩული ტყისა. იგი გეუბნება შენ, რომ შემოგვთავაზებს მუდამ თავის ლბილ ხავსს.

ამ ლექსთა გარდა, მოთავსებულია აგრეთვე ერთი უსახელო ქართველის ლექსი:

ანონიმი

### ღამე

ვით მათხოვარი გაცუდებული, ვსვამ სიყვარულზე ჩემი მოგონებების სადღეგრძელოს. ჩემი ბედნიერების ფერფლით შემიძლია ავაგო სრა-სასახლე? მაინც, მოდი, ჩემო კარგო სატრფოვ! ჩემს წალკოტში მარად არის სიმშვიდე, შენ რომ გიყვარდა. პალმები უმოძრაოდ არიან. ლუსიოლებმა ჩააქრეს თავისი სინათლე. ხედავ! აღარ ვსტირი მე. მე ვიღიმები. მაგრამ ეს დიდი მოთქმა, იქ... არის ეს ნიაღვარი თუ შენი მწუხარება?

ასეთი არის ქართული ლექსები, რომელიც მოთავსებულია ამ ისლამურ სიმღერებში. ცხადია, მთარგმნელმა ტუსენმა ყველა ეს ლექსი ჰპოვა არაბულ ენაზე და მოათავსა იგი თავის წიგნში. ამასთან დაკავშირებით ბევრი საკითხი იჭრება ჩვენს წინაშე, მაგრამ მათი გადაწყვეტა მხოლოდ არაბისტებს შეუძლიათ.

ჩერქეზული ლექსები, რომელიც ამავე წიგნშია მოთავსებული, ხალხურია. მათ არა ჰყავს ავტორი, მაგრამ როგორც ხალხური, მეტად ლამაზი და წარმტაცია.

ტუნესის ეს შრომა წარმოადგენს დიდ სამეცნიერო ინტერესს განსაკუთრებით რუსთველოლოგებისათვის. ამიერიდან რუსთველოლოგია ალბათ ამ მიმართულებითაც დაიწყებს კვლია-ძიებას.

ბ. ვარდანი

## შაჰმატობი

### სიტყვათა შეჯვარება. №1

(ამოხსნა)

#### ჰორიზონტალური

1. მაკბეტი, 3. ელისო, 8. გოგო, 9. ვაკე, 11. პაატა, 12. ყაზბეგი.

#### ვერტიკალური

2. ბიძა, 4. ბაროკოს, 5. მტკვარი, 6. წიგნი, 7. არაყი, 10. ბახი.

#### ჯვარედინი

1. ასტრონომიას, 2. სალხინებელი.

### შეადგინეთ სიტყვები. №2.

(ამოხსნა)

1. ნალმსატყორცნი, 2. გილგამეში, 3. კონფუცი, 4. ტელესკოპი, 5. მეჩეჩი, 6. ჰეიზერი, 7. მიუნჰაუზენი, 8. შამქორი, 9. მონბლანი, 10. ციცინათელა, 11. მონოპლანი, 12. დანუნციო, 13. ოშკი, 14. აბაშელი, 15. ეშმაკი.

## მთელი მსოფლიოს აღშფოთება

ესპანეთის ოფიციოზმა „არიბამ“ ამ დღეებში გამოაქვეყნა მთელი რიგი დეპეშებისა, მიღებული სამხრეთ ამერიკის სატახტო ქალაქებიდან, რომლებიც ლაპარაკებენ რომის ბომბარდირებით სამხრეთ ამერიკის მოსახლეობაში გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე. გაზეთის ცნობით, არგენტინის პირველმა კარდინალმა, აგრეთვე ლიმის არქიეპისკოპოსმა, პერუს პირველმა კარდინალმა, ბაგოტის არქიეპისკოპოსმა და კოლუმბიის პირველმა კარდინალმა პაპისადმი გაგზავნილ მიმართვაში თავიანთი აღშფოთება გამოსთქვეს რომზე ბარბაროსული თავდასხმის გამო.

ამის შესახებ არამცთუ მარტო ნეიტრალურ ქვეყნებში აქვს ადგილი ბომბარდირებით გამოწვეულ აღშფოთებას, არამედ სხვა ქვეყნებშიც: სიდნეიდან, ინგლისის საინფორმაციო ბიუროს „რეიტერის“ ცნობით, ავსტრალიის კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა გილროიმა ვატიკანის სამდივნოს სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ჩვენ, ავსტრალიის არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, რამდენად ეს შესაძლებელია, გამოვსთქვათ ჩვენი თანაგრძნობა და ჩვენი ლოიალობა და შევუერთდეთ ამ მეტად მძიმე წუთებში ჩვენი წმინდა მამის კეთილშობილ პროტესტს იმ სამარცხვინო მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც იქნა ჩადენილი დღევანდელი საშინელი ომის დროს ქრისტიანობის წმინდათაწმინდის მიმართ.“

○

### ბირმა საომარ მდგომარეობაშია ამერიკასა და დიდ ბრიტანეთთან

დომეის სააგენტოს ცნობით რანგუნიდან, ბირმის პარლამენტმა მიიღო 1943 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება ომი გამოუცხადოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს.

□

### წყალქვეშა ნავმა ჩამოაგდო ამერიკული დირიჟაბლი

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ვაშინგტონში, საზღვაო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ დირიჟაბლი K 74 ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიღუპა ატლანტიის ოკეანეში, ქვემეხიდან გასროლილი ყუმბარისაგან. დირიჟაბლს ესროლეს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავიდან, რომელიც წყლის ზედაპირზე იმყოფებოდა.

□

### შვეიცარიის ნეიტრალიტეტის ახალი დარღვევა

როგორც ბერნიდან იუწყებიან, ბრიტანეთისა და ამერიკის თვითმფრინავებმა ხელახლა დაარღვიეს შვეიცარიის ნეიტრალიტეტი. შვეიცარიის მთავრობის ოფიციალური განცხადებით, 30 ივლისს რამდენიმე „უცხო“ თვითმფრინავმა გადაიფრინა შვეიცარიის ტერიტორიაზე. ლუგანოსა, კიასისა და მენდერისოში გამოცხადდა საჰაერო განგაში.

□

### გრაფი ჩიანოს გადადგომა

როგორც იტალიის რადიო იუწყება, გრაფმა ჩიანომ, რომელსაც ეჭირა ელჩის პოსტი ვატიკანში, თხოვნა შეიტანა გადადგომაზე. მეფემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. გაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Berlin W 8, Behren-Strasse 65/III

ქართული სტამბა. Berlin—Wilmersdorf
Hohenzollerndamm 15